შპს ნიუ მეჯიქის 7 წლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა (2023- 2029)

ბათუმი 2022 წელი

ხედვა: შპს ნიუ მეჯიქი წარმოადგენს 2028-2029 წლისთვის მაღალი ნდობისა და აღიარების მქონე რეგიონულ მრავალპროფილურ პროფესიულ კოლეჯს, რომელიც საზოგადოებას სთავაზობს პროფესიული განათლებასთან დაკავშირებული სერვისების ფართო სპექტრს.

მისია: შპს ნიუ მეჯიქი მრავალპროფილური პროფესიული კოლეჯია, რომლის მისიაა მომხმარებლის საჭიროებებზე მორგებული, ხარისხზე ორიენტირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება; კონკურენტუნარიანი, პროფესიული უნარებით აღჭურვილი სპეციალისტების მომზადება აჭარის რეგიონისა და ქვეყნის მასშტაბით; საუკეთესო ადგილობრივ გამოცდილებაზე დაფუძნებული მრავალფეროვანი სერვისების გაწევა; პროფესიული განათლების პოპულარიზაცია და მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ხელშეწყობა.

ღირებულებები:

- ობიექტურობა - კოლეჯის საქმიანობა ეფუძნება კანონმდებლობით დადგენილ ნორმებსა და სტანდარტებს. კოლეჯის მიერ დადგენილი რეგულაციები და პროცედურები გამორიცხავს კოლეჯის საქმიანობაში ჩართული პირების მიკერძოებულობას.
- გამჭვირვალეობა - კოლეჯის საქმიანობაში მოქმედი რეგულაციები და პროცედურები, ასევე ხედვები და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი და წინასწარ არის ცნობილი დაინტერესებული პირებისათვის.
- მიუკერძოებლობა - კოლეჯი უზრუნველყოფს, რომ მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები შესაბამისობაშია კანონმდებლობთან და ითვალისწინებს დაინტერესებულ პირთა საუკეთესო ინტერესებს.
- თანამშრომლობა - კოლეჯი ღიაა დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობისთვის, რათა განიხილოს სიახლეები და წინადადებები, განსხვავებული მოსაზრებები პრობლემების გადაჭრის მიზნით.
- განვითარება - სისტემატიურად ვაფასებთ კოლეჯის საქმიანობას და ვგეგმავთ განვითარების გზებს პარტნიორებთან ერთად.

შპს ნიუ მეჯიქის 7 წლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა ჩამოსაყალიბებულია კოლეჯის მიერ დამტკიცებული სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების დეგეგმარების მეთოდოლოგიის, მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმების შესაბამისად.

კოლეჯმა გამოიყენა კონვენციური დაგეგმარების მეთოდის ელემენტები და თავისი სტრატეგიული განვითარების გეგმა დააფუძნა ორგანული სტრატეგიული განვითარების მეთოდს. შესწავლილი და გათვალისწინებული იქნა გარემო

პირობები, რომელიც შესაძლო გავლენას მოახდენდა კოლეჯის ფუნქციონირებაზე. მიღებული ინფორმაციისა და ანალიზის საფუძველზე განისაზღვრა ძლიერი და სუსტი მხარეები. აღნიშნული უზრუნველყოფს კოლეჯის კონკურენტუნარიანობის გაძლიერებას, ახალ გამოწვევებთან და ცვლილებებთან ადაპტაციას. ამ მიზნით დაგეგმვის განხორციელებისას გამოყენებულ იქნა ანალიტიკური ინსტრუმენტები. SWOT- ანალიზის საფუძველზე განსაზღვრულ იქნა კოლეჯის ფუნქციონირების თავისებურებები, რესურსები, კონკურენტული გარემო და მიზნობრივი ორიენტირები. მისიის საფუძველზე ჩამოყალიბებულ იქნა კოლეჯის გრძელვადიანი პრიორიტეტები.

სტრატეგიული ალტერნატივების გაანალიზების საფუძველზე გამოკვეთილ იქნა კოლეჯის სტრატეგია - განვითარების გრძელვადიანი მიმართულება, რომელიც დასახული მიზნების რეალიზაციის და ასევე, გარემოს შეცვლისა და არსებული ალტერნატივების ხარჯზე უპირატესობის მოპოვების შესაძლებლობას იძლევა.

დაგეგმვისას აქცენტი მიმართულ იქნა კონკურენტუნარიანობის გაძლიერების უზრუნველყოფის ღონისძიებების შემუშავებაზე; შემუშავდა გარე ცვლილებებზე რეაგირების მექანიზმები. ამავდროულად გაანალიზებულ იქნა ბაზარზე მოქმედი კოლეჯების შესახებ ინფორმაცია, მათი ძლიერი და სუსტი მხარეების გამოსავლენად.

დაგეგმვის საფუძველზე გააზრებულ იქნა:

- პროფესიული განათლების მიღწევები;
- განჭვრეტილ იქნა თანამედროვე გამოწვევები;
- ჩამოყალიბებულ იქნა პრიორიტეტები თუ სად მოხდეს ენერგიისა და რესურსების კონცენტრაცია კოლეჯის პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენების მიზნით;
- შეფასებულ იქნა სხვადასხვა პროექტების და მომსახურების სახეობების დაფინანსების ხარჯები;
- გააზრებულ იქნა კონკრეტული პროექტისთვის დროის, ძალისხმევის და რესურსების ინვესტირების მიზანშეწონილობა;
- გააზრებულ იქნა კოლეჯის გეგმები საქმიანობის განვითარებასთან დაკავშირებით;
- განსაზღვრულ იქნა პროექტებისა და ღონისძიებების დასაფინანსებლად საჭირო რესურსები;
- შეფასებულ იქნა სტრატეგიული გეგმის შესრულებაში მონაწილეთა ჩართულობის ხარისხი, პასუხისმგებლობა და კომპეტენცია.

SWOT ანალიზი

ძლიერი მხარეები:

- სწორად განსაზღვრული მისია;
- დივერსიფიცირებული დაფინანსების წყარო - დამფუძნებელთა შენატანი კაპიტალში, რაც უზრუნველყოფს ინსტიტუციის ფინანსურ მდგრადობას;
- შრომის ბაზრის მოთხოვნებთან თავსებადი საგანმანათლებლო პროგრამები.
- მაღალკვალიფიციური პროფესიული მასწავლებლები;
- თანამშრომლობითი გარემო;
- სოციალური პასუხისმგებლობა;
- პროფესიული სტუდენტების ფინანსური მხარდაჭერის ეფექტური პოლიტიკა;
- პროფესიონალი, მოტივირებული და გამოცდილი ადმინისტრაციული პერსონალი;
- ძლიერი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების საუკეთესო გამოცდილების გაზიარება ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფის, პერსონალის რეკრუტირების, საგანმანათლებლო პროგრამების სწავლების ორგანიზების, ადგილობრივი და საერთაშორისო კავშირების ჩამოყალიბების პროცესები.

სუსტი მხარეები:

- ცნობადობა ადგილობრივ ბაზარზე;

განვითარების შესაძლებლობები

- ბათუმი არის აჭარის ადმინისტრაციული ცენტრი. აჭარის რეგიონის მზარდი დემოგრაფია ხელს შეუწყობს პროფესიულ სტუდენტების მოზიდვის ფაქტორს, რეგიონში პროფესიული განათლების მოთხოვნა საკმაოდ დიდია.
- ევროპული საგანმანათლებლო სივრცე ევროკავშირის მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტებით საქართველოში ქმნის ახალ შესაძლებლობებს პროფესიული კოლეჯებისთვის ;
- კურსდამთავრებულებისათვის დასაქმების ხელშემწყობი კომპონენტების გაძლიერება;
- გამოცდილი პროფესიული მასწავლებლების გამოცდილების გაზიარება;
- სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით, მათი შესაძლებლობების მაქსიმალური გამოვლენისათვის რეგიონალური პროეტების განხორციელება და სხვადასხვა რანგის ღონისძიებებში მონაწილეობა;
- პერსონალის პოტენციალის განვითარებისათვის ხელშეწყობა;
- საქართველოში განხორციელებული უცხოური პირდაპირი ინვესტიციები პროფესიული განათლების განვითარების მიზნით;

რისკები:

- არამდგრადი სოციალური გარემო;
- კოლეჯებს შორის ზრდადი კონკურენცია.
- ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები;

სტრატეგიული მიზნები

სტრატეგიული მიზანი N1 - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება

სტრატეგიული მიზანი N2 - სტუდენტური სერვისების განითარება

სტრატეგიული მიზანი N3 - მართვის პროცესების გაუმჯობესება და პროფესიული განვითარება

სტრატეგიული განვითარების გეგმით დასახული მიზნის მისაღწევი გზები, განსახორციელებელი ქმედებები, განხორციელების ვადები, განმახორციელებელი სტრუქტურები და პასუხისმგებელი პირები, შესრულების ინდიკატორები, მოსალოდნელი შედეგები

სტრატეგიული მიზანი N1 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება				
მიზნის მისაღწევი გზები	ვადები	განსახორციელებელი ქმედებები	განმახორციელებელი სტრუქტურები და პასუხის მგებელი პირები	შესრულების კრიტერიუმები; მოსალოდნელი შედეგები; დოკუმენტები
1.1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა, მუდმივი გაუმჯობესება და საგანმანათლებლო პროცესის განვითარება	მუდმივად	• პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის კონტროლი; • სასწავლო პროცესის კონტროლი სასწავლო გეგმების შესაბამისად.	**განმახორციელებელი სტრუქტურა:** • სასწავლო პროცესის მართვის სამსახური **პასუხისმგებელი პირი** დირექტორის მოადგილე	**შესრულების კრიტერიუმები:** სასწავლო პროცესის მონიტორინგის შედეგები; სტუდენტების გამოკითხვები; მონიტორინგის შედეგად გაცემული რეკომენდაციები; წლიური ანგარიშები **მოსალოდნელი შედეგები:** ვითარდება საგანმანათლებლო პროგრამები და ინერგება სწავლების თანამედროვე მეთოდები

1.2. ახალი პროფესიული პროგრამების, პროფესიულო მომზადებისა და გადამზადების პროგრამების შემუშავება და განხორციელება შრომის ბაზრისა და ეკონომიკური სექტორის მოთხოვნების გათვალისწინებით.	2024-2027	• შრომის ბაზრის საჭიროებების დადგენა; • ახალი პროგრამების განხორციელებაზე დაკვირვება და განვითარების უზრუნველყოფა	**განმახორციელებელი სტრუქტურა:** • დირექტორის მოადგილე; • პროგრამის ხელმძღვანელები, პროფესიული მასწავლებლები **პასუხისმგებელი პირი** დირექტორის მოადგილე	**შესრულების კრიტერიუმები:** შრომის ბაზრის ტენდენციები, დამსაქმებელთა გამოკითხვები, ანალიზი და რეკომენდაციები; კოლეჯის წლიური ანგარიში **მოსალოდნელი შედეგები:** შრომის ბაზარზე ორიენტირებული პროფესიული საგანმანათლო პროგრამები.
1.3.პოტენციური დამსაქმებლის ინტერესის გათვალისწინება და მათი ჩართულობა პროგრამების განვითარებაში	2024-2028	• ეკონომიკის სექტორისა და პოტენციური დამსაქმებლის რეკომენდაციების გათვალისწინება	**განმახორციელებელი სტრუქტურა:** • პროგრამის ხელმძღვანელები **პასუხისმგებელი პირი** დირექტორის მოადგილე	**შესრულების კრიტერიუმები:** გამოკითხვები და გამოკითხვების ანალიზები; კოლეჯის წლიური ანგარიშები; **მოსალოდნელი შედეგები:** მზარდი მოთხოვნები მომზადება-გადამზადების სასერტიფიკატო პროგრამებზე;
1.4. სწავლების ინოვაციური მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა (სასწავლო პროცესში სტუდენტის აქტიური ჩართვა, საგანმანათლებლო რესურსებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების ეფექტური გამოყენება, შეფასების ობიექტური, სამართლიანი და გამჭვირვალე პროცედურების დანერგვა)	მუდმივად	• აქტიურ სტუდენტთა წახალისების მექანიზმების შემუშავება; • შეფასების ობიექტური, სამართლიანი და გამჭვირვალე პროცედურების დანერგვა	**განმახორციელებელი სტრუქტურა:** • სასწავლო პროცესის მართვის სამსახური; • IT სამსახური; • პროგრამის ხელმძღვანელები • პროფესიული მასწავლებლები **პასუხისმგებელი პირი**	**შესრულების კრიტერიუმები:** აპლიკანტთა რაოდენობრივი მაჩვენებლები, სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის შედეგები **მოსალოდნელი შედეგები:** თანამედროვე სასწავლო მეთოდები და სასწავლო გარემო, გაზრდილია ინტერესი კოლეჯისადმი.

			დირექტორის მოადგილე	
1.5. დასაქმებაზე ორიენტირებული პროექტების განვითარება და განხორციელება	2024-2029	• მჭიდრო კავშირი დამსაქმებლებთან; • დასაქმებაზე ორიენტირებული განსახორციელებელი პროექტები	**განმახორციელებელი სტრუქტურა:** • დირექტორის მოადგილე; • ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური **პასუხისმგებელი პირი** დირექტორი	**შესრულების კრიტერიუმები:** განხორციელებული პროექტების ამსახველი მასალა; თანამშრომლობის ამსახველი მასალები, ხელშეკრულებები/მემორანდუმები **მოსალოდნელი შედეგები:** ხორციელდება დასაქმებაზე ორიენტირებული პროექტები და იზრდება კურსდამთავრებულების დასაქმების პერსპექტივები; პარტნიორებთან განხორციელებული ერთობლივი პროექტები
1.6. საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი ინფრასტრუქტურის და ასევე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის ადაპტირებული გარემოს განვითარება.	მუდმივად	• საგანმანათლებლო პროგრამების უზრუნველყოფა აუცილებელი მატერიალური აღჭურვილობითა და ტექნოლოგიებით.	**განმახორციელებელი სტრუქტურა:** • ფინანსური სამსახური • სასწავლო პროცესის მართვის სამსახური; **პასუხისმგებელი პირი** დირექტორი	**შესრულების კრიტერიუმები:** კოლეჯის წლიური ანგარიში, პროგრამის ხელმძღვანელების ანგარიშები; ფინანსური დოკუმენტაცია, ფაქტობრივი და ვიზუალური მდგომარეობა; **მოსალოდნელი შედეგები:** საგანმანათლებლო პროგრამები უზრუნველყოფილია აუცილებელი მატერიალური აღჭურვილობითა და ტექნოლოგიებით. სასწავლო პროცესები მიმდინარეობს მაღალი სტანდარტით.
1.7. პროფესიული უნარების განვითარებაზე ორიენტირებული სასწავლო, საბიბლიოთეკო და მატერიალური რესურსების განვითარებადი ღონისძიებების მხარდაჭერა.	მუდმივად	• პროფესიული უნარებისათვის აუცილებელი სასწავლო და მატერიალური რესურსების მუდმივი განახლება	**განმახორციელებელი სტრუქტურა:** • ფინანსური სამსახური • სასწავლო პროცესის მართვის სამსახური; • პროგრამის ხელმძღვანელები • ბიბლიოთეკა	**შესრულების კრიტერიუმები:** განხორციელებული შესყიდვები, გაუმჯობესებული სასწავლო პროცესი **მოსალოდნელი შედეგები:** განვითარებული ინფრასტრუქტურა და თანამედროვე ტექნოლოგიებით მხარდაჭერილი სასწავლო პროცესი

			პასუხისმგებელი პირი დირექტორი	
სტრატეგიული მიზანი N2 სტუდენტური სერვისების განითარება				
მიზნის მისაღწევი გზები	ვადები	განსახორციელებელი ქმედებები	განმახორციელებელი სტრუქტურები და პასუხის მგებელი პირები	შესრულების კრიტერიუმები; მოსალოდნელი შედეგები; დოკუმენტები
2.1.პროფესიული სტუდენტების მაქსიმალური მხარდაჭერა და საბიბლიოთეკო ფონდის განვითარება	მუდმივად	• სტუდენტების გარე მხარდაჭერა ახალი ინფორმაციითა და ახალი კავშირებით მათ პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებით	**განმახორციელებელი სტრუქტურა:** • პროგრამის ხელმძღვანელები; • სასწავლო პროცესის მართვის სამსახური; • სტუდენტური სერვისებისა და კარიერული განვითარებისა სამსახური • საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება • IT სამსახური; • ბიბლიოთეკა **პასუხისმგებელი პირი** დირექტორის მოადგილე	**შესრულების კრიტერიუმები:** სტუდენტთა კონსულტაციის სამსახურების წლიური ანგარიში, სტუდენტური გამოკითხვები, საინფორმაციო შეხვედრების ამსახველი მასალები. **მოსალოდნელი შედეგები:** სტუდენტთა კმაყოფილება მხარდამჭერი და სტუდენტთა კონსულტაციების სამსახურებისადმი;
2.2. პროფესიული სტუდენტებისათვის პროფორიენტაციის, კულტურული და შემეცნებითი ხასიათის, პროფესიული განათლების პოპულარიზაციის	მუდმივად	• სხვადასხვა ტიპის ღონისძიებების ორგანიზება	**განმახორციელებელი სტრუქტურა:** • სტუდენტური სერვისებისა და კარიერული განვითარებისა	**შესრულების კრიტერიუმები:** ღონისძიებების ამსახველი მასალები **მოსალოდნელი შედეგები:** იზრდება საზოგადოებისა და სტუდენტების ნდობა კოლეჯისადმი.

ღონისძიებათა ორგანიზება			• სამსახური • საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება; • ბიბლიოთეკა **პასუხისმგებელი პირი** დირექტორის მოადგილე;	
სტრატეგიული მიზანი N3 მართვის პროცესების გაუმჯობესება და პროფესიული განვითარება				
მიზნის მისაღწევი გზები	ვადები	განსახორციელებელი ქმედებები	განმახორციელებელი სტრუქტურები და პასუხის მგებელი პირები	შესრულების კრიტერიუმები; მოსალოდნელი შედეგები; დოკუმენტები
3.1.პროფესიული მასწავლებლების პროფესიული და კარიერული განვითარების მხარდაჭერა	მუდმივად	• პროფესიული და კარიერული განვითარების მხარდაჭერა მათი წახალისების გზით; • მონაწილეობა სხვადასხვა ტიპის კონფერენციებში, ტრენინგებში, პროექტებში	**განმახორციელებელი სტრუქტურა:** • ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახური • საფინანსო განყოფილება **პასუხისმგებელი პირი** დირექტორი	**შესრულების კრიტერიუმები:** წახალისების ამსახველი მასალა. **მოსალოდნელი შედეგები:** სრული ინტეგრაცია საქართველოს პროფესიულ საგანმანათლებლო სისტემაში. კოლეჯი აღიარებული საგანმანათლებლო დაწესებულებაა რეგიონისა და ქვეყნის მასშტაბით.
3.2.ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიული ტრენინგების მხარდაჭერა	მუდმივად	ადმინისტრაციული პერსონალი ხელშეწყობა მათთვის პროფესიული ტრენინგების უზრუნველყოფის გზით	**განმახორციელებელი სტრუქტურა:** • ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახური • საფინანსო	**შესრულების კრიტერიუმები:** ტრენინგის მასალები და ტრენინგის მარდაჭერის მექანიზმები. **მოსალოდნელი შედეგები:** ადმინისტრაციული პერსონალის მაღალი სტანდარტები

			განყოფილება **პასუხისმგებელი პირი** დირექტორი	
3.3. კოლეჯის მართვის პროცესების გაუმჯობესება	2023-2025	მმართვის პროცესების მონიტორინგის მექანიზმების შექმნა და დანერგვა	**განმახორციელებელი სტრუქტურა:** • ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური; **პასუხისმგებელი პირი** დირექტორი	**შესრულების კრიტერიუმები:** მონიტორინგის მექანიზმები. თანამშრომელთა კმაყოფილების კვლევა **მოსალოდნელი შედეგები:** მართვის მაღალი სტანდარტები